ოქმი N 8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 26 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. იგორ გოგოლაძე
3. გენადი ზარანდია
4. მალხაზი ლაგვილავა
5. გენადი ქაძანაია
6. ვასილ კუკავა
7. კახა ლატარია
8. როსტევან გვარამია
9. ჯემალი ნადარაია
10. კახა მიქაბერიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ტ. ალექსანდრია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 აგვისტოს N06/1376 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივლისის თვის შესრულების ანგარიში).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10, წინააღმდეგი - არც ერთი
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 11 აგვისტოს N06/1376 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივლისის თვის შესრულების ანგარიში).

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ-ივლისის თვის შესრულების ანგარიში (ოქმს თან ერთვის), სადაც აღნიშნულია, რომ 2015 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში 8431,7 ათასი ლარი, ხოლო საგასავლო ნაწილში 7146,8 ათასი ლარი შეადგინა. 2015 წლის ბიუჯეტის 7 თვის შედეგებით შემოსულობების გეგმა შესრულებულია 50,8%-ით, აქედან საგადასახადო შემოსავლები გეგმიური 4000.0 ათასი ლარიდან შემოსულია 1044,2 ათასი ლარი (26,1%), გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან გეგმიური 3752,3 ათასი ლარიდან მიღებულია 2735,8 ათასი ლარი (72,9%). სხვა შემოსავლები წლიური გეგმით გათვალისწინებული 475,8 ათასი ლარიდან შემოსულია 378 ათასი ლარი (79,4%). შემოსულობები არაფინანსური აქტივების კლებიდან გათვალისწინებული 203,6 ათასი ლარიდან შემოსულია 128,3 ათასი ლარი (63,2%). ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი იანვარ-ივლისის თვის შესრულების მიხედვით ათვისებულია 42,06% (გეგმა 7146,8 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 3006,3 ათასი ლარი). მიმდინარე წლის 7 თვის შემოსულობების 70,12% ათვისებულია. მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით ბიუჯეტის იანვარ-ივლისის თვის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი ბიუჯეტის 7 თვის შესრულების ანგარიში წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ტ. ალექსანდრია